



MES 7 20 0001208478



17/12/2020

ქ.თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ხათუნა ლორია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

გიორგი თუმანიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ირმა ქვეციშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი, საბჭოს წევრი;

იზა კასრაძე - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, საბჭოს მდივანი;

ანა ძაძაძია - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

ირმა ხარშილაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს წევრი;

კობა ყალიჩავა - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი; პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის კოორდინატორი;

ანა ჯავახიშვილი - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:

ლევან ჯიქია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი;

პაატა გოგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი.

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი:

ნათია გოცაძე - უნივერსიტეტის რექტორი;

მაკო ჯაოშვილი - ვიცე რექტორი აკადემიური განვითარების მიმართულებით, სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის და საზოგადოებრივი ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

მარიამ დარბაიძე - ვიცე რექტორი, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი.

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ლიკა გიორგაძე;

ნათია შეყილაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:04 საათზე.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ სხდომაზე დამსწრე პირებს მოახსენა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარებას უზრუნველყოფდა ონ-ლაინ რეჟიმში Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. აქვე მან განმარტა, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 22-ე მუხლის თანახმად, გარდამავალ პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს წევრების ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში. ამასთან, გარდამავალ პერიოდად ითვლებოდა ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხის აღმოფხვრამდე პერიოდი. თამარ შენგელიამ სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო ასევე ელექტრონული პლატფორმის გამოყენების ინსტრუქცია.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს შემადგენლობაში შედიოდა 7 წევრი, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა იყო უფლებამოსილი, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

2. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან ან ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ საბჭოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა საბჭოს სხდომის ზეპირი განხილვის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საბჭოს სხდომის ამსახველი ოქმის პროექტის მომზადების ხელშეწყობა. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი კანონმდებლობით დადგენილი წესით განადგურდებოდა ოქმის ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ სხვა შუამდგომლობა არ ფიქსირდებოდა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სახით დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხის განხილვა

თამარ შენგელიამ წარადგინა საბჭოს წინაშე დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი და განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2020 წლის 03 აგვისტოს წერილი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართის სკოლამ 2020 წლის 30 მარტის სხდომაზე (ოქმი #5-01/05) იმსჯელა და გადაწყვეტილება მიიღო „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის გაუქმების შესახებ და გამოიკა შესაბამისი ბრძანება.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ, განაცხადა, რომ საბჭოს წევრები ინფორმირებულები იყვნენ ამ საკითხის შესახებ და საბჭოს სხდომამდე გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილს, მან განმარტა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი ფორმალური ხასიათის იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას გაუუქმდეს აკრედიტაცია.

2. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

3. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თამარ შენგელიამ არსებული პრაქტიკა გააცნო საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ როდესაც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები ორივე პროგრამასთან მიმართებით მსგავსი იყო საბჭოს წევრები შინაარსობრივად გაერთიანებულ ფორმატში განიხილავდნენ პროგრამების აკრედიტაციის საკითხს. საბჭოს წევრებმა,

დაწესებულების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული პრაქტიკა და გაერთიანებულ ფორმატში განიხილეს ორივე პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

საბჭოს სხდომას 16:15 საათზე შემოუერთდნენ საბჭოს წევრები ირმა ხარშილაძე და გიორგი თუმანიშვილი.

თამარ შენგელიამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა საბჭოს ახალი წევრები და განაცხადა, რომ 03 აგვისტოს „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შექმნის და მისი შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2020 წლის 12 ივნისის №150/სა ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და საბჭოს წევრებს დაემატა ორი ახალი საბჭოს წევრი, ირმა ხარშილაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი და კობა ყალიჩავა - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის პროგრამებთან მიმართებით დასკვნებში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლიკა გიორგაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ 2020 წლის 23 ოქტომბერს დაწესებულებაში განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ლიკა გიორგაძე, წევრი - ნათია შეყილაძე. მან განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ აკრედიტაციის განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განმარტა, რომ დაწესებულებამ აკრედიტაციის განაცხადის წარმოდგენის შემდეგ განახორციელა რიგი ცვლილებები პროგრამაში, რაც ვიზიტის დაწყებამდე მიეწოდა ექსპერტთა ჯგუფს. საჭიროების მიხედვით, ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით შეისწავლა დაწესებულების სხვა დოკუმენტებიც. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები დაწესებულების ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამაში ჩართულ ტრენერებთან დღის წესრიგის მცირედი მოდიფიცირებით, მოეწყო დაწესებულების ფართის ვიზუალური დათვალიერება.

ლიკა გიორგაძემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამებთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც საერთო იყო ორივე პროგრამისთვის:

- ის ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაზე დართული მოდულების სილაბუსების სახით, აუცილებელია, მუშავდებოდეს პროგრამასთან ერთად;
- აუცილებელია, პროგრამის განმახორციელებელი ტრენერების როლის გაზრდა პროგრამების შემუშავების პროცესში. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ჩართულობა გამოხატული იქნეს შემუშავების ეტაპზე არა მხოლოდ მათგან კონსულტაციების მიღების სახით, არამედ თითოეულმა ტრენერმა თავად უნდა შეიმუშაოს საკუთარი მოდული;
- ტრენერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები უნდა ითვალისწინებდეს დაწესებულების მიერ შემუშავებულ ტრენერის სამუშაო აღწერილობას (მოდულის შექმნა მიზნების და სწავლის შედეგების განსაზღვრა, სწავლების და შეფასების მეთოდების შერჩევა, მოდულის თემატიკის და მოცულობის დადგენა; მოდულის დღის წესრიგის მომზადება);
- დაწესებულებამ პროგრამის შემუშავების პროცესში უნდა აწარმოოს დოკუმენტაცია (ოქმები, ჩანაწერები/აღნიშვნები), რაც ხელს შეუწყობს როგორც კოორდინაციას, ისე დახმარებას გაუწევს დაწესებულებას აკრედიტაციის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესშიც;
- დაწესებულების ვებგვერდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია პროგრამის და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით გათვალისწინებული თემატიკის სრულად დაფარვის და საჯარო მოხელეებში საჭირო კომპეტენციების განვითარების მიზნით, აუცილებელია, პროგრამის დოკუმენტი, განსაკუთრებით კომპეტენციების ნაწილი, შეფასების მეთოდების ნაწილი (რომელიც ორიენტირებული იქნება არამხოლოდ თეორიის შეფასებაზე), პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის დანართი) დამუშავდეს ერთობლივად ტრენერების მიერ, ხოლო თითოეული კომპონენტის სილაბუსის თემატიკა და დღის წესრიგი გადაიხედოს და დაზუსტდეს შესაბამისი ტრენერის მიერ;

- უცილებელია შეიქმნას პროგრამის შინაარსზე ორიენტირებული სპეციალური სასწავლო რესურსები (რიდერები/ინფორმატიული ჰენდაუტები) პროგრამის მსმენელებისათვის, რომელიც კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე იქნება ორიენტირებული;
- აუცილებელია, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის განხორციელების გეგმა და სილაბუსები;
- აუცილებელია, პროგრამის განმახორციელებელ ადმინისტრაციულ პერსონალთანაც გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ შეთანხმებები, რათა მათი ფუნქციები ითვალისწინებდეს აღნიშნული პროგრამის შემუშავება/განხორციელებაში ჩართულობას;
- აუცილებელია, გაგრძელდეს მუშაობა შეფასების მეთოდების სრულყოფის მიმართულებით, რათა მეტად გახდეს ორიენტირებული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე;
- აუცილებელია, დაწესებულების პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიაში აისახოს, რომ მოხდება სამიზნე ნიშნულების გაუმჯობესების მიმართულებით მუშაობა.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ თითოეული რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღწერილი იყო დასკვნებში და დამატებით აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირების მხრიდან კითხვების არსებობის შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფი მზად ყოფნას გამოხატავდა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია შეყილაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიკა გიორგაძემ ამომწურავად ისაუბრა პროგრამების შეფასების ნაწილთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ რეკომენდაციები ექსპერტების შეფასებების ურთიერთშეჯერების შედეგად ჩამოყალიბდა და ასევე ნათია შეყილაძემ მზაობა გამოთქვა, რომ ჩართულიყო განხილვის პროცესში კითხვების არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის რექტორი, ნათია გოცაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ექსპერტთა ჯგუფს მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში გაწეული სამუშაოსთვის. ნათია გოცაძემ ზოგადი მიმოხილვა გააკეთა დაწესებულების გამოცდილებასთან დაკავშირებით ტრენინგების განხორციელების მიმართულებით. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან მიმართებით განმარტა დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. მან განაცხადა, რომ დაწესებულება თავის სამუშაო ჯგუფთან ერთად მუდმივად თანამშრომლობდა საჯარო სექტორთან. ნათია გოცაძემ დამატებით განაცხადა, რომ 2018 წლის შემდგომ, როდესაც პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამები სამართლებრივ ჭრილში მოექცა და განისაზღვრა N242 დადგენილებით, თავად იყო ჩართული შემუშავების პროცესში. ნათია გოცაძემ განმარტა, რომ სწორედ ამ პერიოდში დაიწყო პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებისთვის მზადება, თუმცა მან განაცხადა, რომ 2018 წელს დაწესებულება ფუნქციონირებდა პიარ აკადემიის სახელით და მოგვიანებით დაფუძნდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახით. მთელი გუნდი ჩართული იყო დაწესებულების ავტორიზაციის მოპოვების პროცესში და გარკვეული პერიოდი შეაჩერეს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამებზე მუშაობა. მან დამატებით განაცხადა, რომ ავტორიზაციის მოპოვების შემდგომ დაწესებულება ჩამოყალიბდა, როგორც შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი. ნათია გოცაძემ განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო ყველა კვლევაში, რომელიც პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების

პროგრამების განხორციელების გარშემო მიმდინარეობდა და აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი მიგნებები გამოიკვეთა ამ პროცესებთან მიმართებით.

ნათია გოცაძემ, მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტება გააკეთა და განაცხადა, რომ 2020 წელს დაუბრუნდა დაწესებულება პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებას, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მან განაცხადა, რომ ის დოკუმენტაცია, მასალები, სილაბუსები, რომლებიც უკვე შემუშავებული ჰქონდათ 2018 წელს, ალტერბრიჯის გუნდის მიერ ხელახლა გადაიხედა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფს, რომ ტრენერები არ იყვნენ სილაბუსების შედგენის პროცესში ჩართული. მან ასევე განაცხადა, რომ იყვნენ ტრენერები, რომლებთანაც ხელახალი კონსულტაციების გავლით მოხდა პროცესის ადაპტირება. ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ ალტერბრიჯის გუნდს აკრედიტაციის ვიზიტამდე შემოუერთდა ვიცე რექტორი, ხარისხის მართვის მიმართულებით, მარიამ დარბაიძე და განაცხადა, რომ ვიცე რექტორის შემოერთების შემდგომ კიდევ ერთხელ მოხდა დოკუმენტაციის ხელახლა გადახედვა და შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი. მისი თქმით, ეს საკითხი ექსპერტების მხრიდანაც აღინიშნა, რადგან ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ ექსპერტებს განახლებული დოკუმენტაცია წარუდგინა.

ნათია გოცაძემ განმარტება გააკეთა მე-5 რეკომენდაციასთან მიმართებით და განაცხადა, პანდემიის გამო ონლაინ სწავლების სისტემის სრულყოფისა და კიბერუსაფრთხოების გაძლიერების, ონლაინ სწავლებაზე გადასვლის მიზნით აუცილებელი გახდა სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდის რედიზაინი. მისი განცხადებით, ალტერბრიჯის ძველ ვებგვერდზე პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა ატვირთული იყო, თუმცა ექსპერტების ვიზიტამდე, უსდ-ის ახალი ვიცე-რექტორის მიერ ხარისხის კუთხით პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ძველი დოკუმენტაცია აღებული იქნა ვებგვერდიდან. მან დამატებით განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში მოხდა უსდ-ის ახალ ვებგვერდზე პროგრამების ატვირთვა.

ნათია გოცაძემ, შეჯამების სახით განაცხადა, თუ რატომ უნდა განხორციელდეს ალტერბრიჯის ფარგლებში პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამები. მან აღნიშნა, რომ ალტერბრიჯს ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდა კვლევების, ტრენინგების, საჯარო სექტორთან ურთიერთობის მიმართულებით, რადგან არაერთი სახელმძღვანელო, რიდერი, დოკუმენტი იყო შემუშავებული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების მიმართულებით ალტერბრიჯის გუნდის მიერ. მან ასევე აღნიშნა, რომ ალტერბრიჯს ძალიან დიდი რესურსი აქვს იმისა, რომ საჯარო სექტორს ჰქონდეს არჩევანი პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების კუთხით.

ნათია გოცაძემ განმარტება გააკეთა სასწავლო რესურსთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ პროგრამის ყველა განმახორციელებელი პირი იყო კონკრეტული მიმართულებებით მაღალკვალიფიციური ტრენერი. ზოგიერთი მათგანი ჩართული იყო სხვა ცენტრების მიერ ამ პროგრამების განხორციელების პროცესში და უკვე შემუშავებული ჰქონდათ სასწავლო მასალები, ჰენდაუტები და სახელმძღვანელოები, რომლებსაც გამოიყენებდნენ ალტერბრიჯის შემთხვევაშიც. მან დამატებით აღნიშნა, რომ თავად ნათია გოცაძე და ტრენერი მათ ხოსიტაშვილი, უშუალოდ იყვნენ იმ სახელმძღვანელოს ავტორები, რომლითაც სხვადასხვა ტრენინგ ცენტრები სარგებლობდნენ. მან ასევე განაცხადა, რომ ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში აღნიშნული მასალა ხელმისაწვდომი იყო ალტერბრიჯის საბიბლიოთეკო რესურსებში. მან აღნიშნა, რომ ალტერბრიჯი სრულად უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის განხორციელებას პროგრამის შინაარსზე ორიენტირებული საგანმანათლებლო რესურსით.

ნათია გოცაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას ტრენერებთან გაფორმებული ჰქონდა წინარე ხელშეკრულებები, რომლებიც მათ უკვე გამოასწორეს ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე. მან ასევე, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, რადგან დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფს ძალიან კარგად ჰქონდა რეკომენდაციის სახით ჩამოყალიბებული ტრენერთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში როგორ უნდა გაეწერათ სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები. დაწესებულებამ სრულად გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია და იდენტურად ასახა ხელშეკრულებებში. მან დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ შემუშავებული სხვა რეკომენდაციები მისაღები იყო მათთვის და უკვე გათვალისწინებული იყო.

ვიცე-რექტორმა, მარიამ დარბაიძემ განაცხადა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მას ძალიან დიდი გამოცდილება ჰქონდა, ალტერბრიჯის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის მიმართულებით მუშაობის პროცესი დაწყებული იყო და დოკუმენტაციის დონეზე ყველაფერი გაწერილი ჰქონდა.

ვიცე-რექტორმა, მაკო ჯაოშვილმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაციას იზიარებდა დაწესებულება და გათვალისწინებული ჰქონდა. მან განაცხადა, რომ ტრენერის სამუშაო აღწერილობა: მოდულის შექმნა, დღის წესრიგის შექმნა, სასწავლო მასალის მომზადება და ა.შ. მკაფიოდ გაწერილი ჰქონდათ ცალკე დოკუმენტში, რომელიც გადავიდა ცალკე ხელშეკრულებაში. მან ასევე განაცხადა, რომ ისინი მოქმედებდნენ N242 დადგენილების ფარგლებში და მათ შეიმუშავეს მხოლოდ სილაბუსები თემატიკის მიხედვით. მან განაცხადა, რომ დაწესებულების დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე ადგენდნენ საჭიროებებს და საჭიროებების საფუძველზე ხდებოდა კონკრეტულ სილაბუსში კონკრეტული ცვლილებების განხორციელება უშუალოდ დამკვეთის ინტერესებიდან გამომდინარე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ძალიან საინტერესო ინტერვიუები განხორციელდა. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დიდ რესურს ხედავდა ალტერბრიჯის უნივერსიტეტში და განმარტა, რომ დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის ყველა რეკომენდაციასთან მიმართებით წარმოდგენილი ჰქონდათ დოკუმენტაცია, რომელიც თან ერთვოდა მათ უკუკავშირს დასკვნის პროექტებთან მიმართებით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა შესწორებულ დოკუმენტაციას, თუმცა მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს აკრედიტაციის დებულების მიხედვით არ ჰქონდათ უფლება გაეთვალისწინებინათ ვიზიტის შემდგომ შემუშავებული დოკუმენტაცია. ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების ვებგვერდზე პროგრამების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ძალიან ფორმალური საკითხი იყო, თუმცა ვიზიტის პერიოდში ეს ინფორმაცია არ იყო საჯაროდ განთავსებული.

ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ტრენერების ნაწილი აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში, ნაწილი მხოლოდ საკუთარი მოდულის სილაბუსის შემუშავებაში იყო ჩართული ან არ მონაწილეობდა პროგრამის და საკუთარი მოდულის სილაბუსის შემუშავების პროცესში. მან აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი იყო მოდულის ავტორი და განმახორციელებელი, მოდულის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სხვა პირი იყო, ხოლო ტრენერი პასუხისმგებელი იქნებოდა უშუალოდ სწავლებაზე.

ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული პროგრამა, რომელიც დამტკიცდა სილაბუსებთან ერთად, პროგრამას დაემატა კომპეტენციები დადგენილების შესაბამისად. მან განმარტა, რომ დადგენილებით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევა სრულად სილაბუსებით არ იყო შესაძლებელი, რადგან დეტალიზებული არ იყო თემატიკა/შემუშავებული არ იყო დღის წესრიგი იმ სახით,

რომ ექსპერტთა მხრიდან შესაძლებელი ყოფილიყო დადგენა რამდენად სრულად იქნება უზრუნველყოფილი სწავლის შედეგების მიღწევა. თუმცა ხაზგასმით, განაცხადა, რომ დაწესებულებას ყავდა ძალიან მაღალი კომპეტენციების მქონე ტრენერები, რომლებსაც ძალიან დიდი რესურსი გააჩნდათ შესაბამისი საკითხების ეფექტურად გადაწყვეტისთვის, თუ ექნებოდათ შესაბამისი ამოცანა და მათი ჩართულობა უკეთ იქნებოდა უზრუნველყოფილი. ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ტრენერებთან ინტერვიუების პროცესი ხანგრძლივი იყო და ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ტრენერებთან გაფორმებულ წინარე ხელშეკრულებაში სამუშაო აღწერილობით ნაწილში არ იყო ის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრული, რომელსაც ტრენერის სამუშაო აღწერილობის და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი ითვალისწინებდა, მან განმარტა, რომ სწორედ ამ ნაწილს ეხებოდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტამდე და ვიზიტის ფარგლებში შემუშავებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით აფასებდა პროგრამებს და ამის საფუძველზე იმუშავებენ დასკვნის პროექტებსა და დასკვნებს. თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო საბჭოს ყურადღება გაემახვილებინა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ასევე იმ ნაწილზე, სადაც დაწესებულებას ორივე პროგრამის ფარგლებში, სტანდარტის ერთ კომპონენტთან მიმართებით ჰქონდა შეუსაბამობა დაფიქსირებული, რაც არსებული რეგულაციით პროგრამის მიერ აკრედიტაციის სტანდარტის ვერ დაკმაყოფილებას გულისხმობდა. მისი თქმით, მიზანშეწონილი იყო საბჭოს ემსჯელა ამ საკითხზე ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ზეპირი მოსმენის საფუძველზე ურთიერთშეჯერებით.

ლიკა გიორგაძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა აკრედიტაციის დებულებით, სადაც განსაზღვრული იყო სტანდარტის შეფასების მეთოდები. მან ასევე აღნიშნა, რომ შინაარსობრივ ნაწილთან მიმართებით შესაძლებელი იყო მსჯელობა, თუმცა დაწესებულების სტანდარტი შეფასდა, როგორც არ არის შესაბამისობაში, რადგან ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია საჯაროდ განთავსებული არ ჰქონდა, მან დამატებით აღნიშნა, რომ ეს ძალიან ტექნიკური ხარვეზი იყო, რასაც დაწესებულების წარმომადგენლებიც ადასტურებდნენ, თუმცა სტანდარტის მოთხოვნას წარმოადგენდა და შესაბამისად, დაწესებულება ამ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს.

დაწესებულების რექტორმა, ნათია გოცაძემ განაცხადა, რომ ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ვებგვერდზე პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო. მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ძალიან მოულოდნელი იყო ამ კომპონენტთან მიმართებით რეკომენდაცია. მან ასევე განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თითოეული რეკომენდაცია სრულად გათვალისწინებული იყო, რადგან დაწესებულება ორიენტირებული იყო მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ვერ დაადასტურებდა დაწესებულების წარმომადგენლის მიერ გაჟღერებულ პოზიციას, რადგან პროგრამების შესახებ ინფორმაცია არ იყო საჯაროდ ხელმისაწვდომი. ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ დაწესებულებას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლება.

ცენტრის წარმომადგენელმა, ანა ჯავახიშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას გააჩნდა პოზიცია, რომ პროგრამების შესახებ ინფორმაცია აუცილებლად განთავსდებოდა საჯაროდ დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე ვიზიტის ფარგლებში.

მან ასევე განაცხადა, რომ დასკვნების შემუშავების პროცესში, ექსპერტებთან კომუნიკაციის დროს, როგორც ექსპერტების მიერ, ისე მის მიერ მოხდა ვებგვერდის შემოწმება და ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია შეყილაძემ განაცხადა, რომ პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა პროგრამის განხორციელებას შინაარსობრივად ხელს არ შეუშლიდა და ყველა თანხმდებოდა, რომ ეს ტექნიკური ხარვეზი იყო, თუმცა სტანდარტის მოთხოვნაა დაწესებულება უზრუნველყოფდეს პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. მან განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ინფორმაცია ასახული იყო II და I რანგის მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამაში და სწავლის შედეგების შეფასების წესში. აღნიშნული წესის მეხუთე მუხლში დაწესებულებას აღნიშნული ჰქონდა, რომ პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

რაზეც დაწესებულების რექტორმა, ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ მათ შეეძლოთ კონკრეტული დღეები და საათები წარმოედგინათ როდის განათავსეს ვებგვერდზე ინფორმაცია. მან ასევე განაცხადა, რომ ახალ ვებგვერდზე არ იყო ინფორმაცია განთავსებული, რადგან დაწესებულებას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება და იგეგმებოდა ხარისხის კუთხით პროგრამაში ცვლილებების განხორციელება.

ვიცე რექტორმა, მარიამ დარბაიძემ დამატებით განმარტა, რომ ალტერბრიჯის ვებგვერდის ძველ ვერსიაზე პროგრამების შესახებ ინფორმაცია ატვირთული იყო, მას შემდეგ რაც თავად მარიამ დარბაიძე შეუერთდა ალტერბრიჯის გუნდს, პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების მიზეზით მოხდა ვებგვერდიდან ინფორმაციის ამოღება. მარიამ დარბაიძემ ასევე განაცხადა, რომ დანართის სახით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა მარიამ დარბაიძისა და ალტერბრიჯის IT თანამშრომლის მიმოწერა, რომლის საფუძველზეც IT თანამშრომელმა ვებგვერდიდან ამოიღო ინფორმაცია პროგრამების შესახებ. მან ასევე განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ვებგვერდზე ინფორმაცია საჯაროდ იყო განთავსებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ მხარეებს და საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ რაიმეს დამატების ან კითხვების სურვილი განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები მხარეებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ განაცხადა, რომ ყველა აცნობიერებდა როდესაც სახელმწიფო ადგენს გარკვეულ სტანდარტებს, ის მოიცავს როგორც შინაარსობრივ, ასევე ფორმალურ მხარეებს. თუმცა, მისი მოსაზრებით გაცილებით მნიშვნელოვანი იყო შინაარსობრივი მხარე, დაწესებულებას რამდენად შეეძლო პროგრამების განხორციელება და იმ შედეგებზე გასვლა, რაც დადგენილებით არის განსაზღვრული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ კიდევ ერთხელ მიმართა მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმეს დამატების სურვილი.

დაწესებულების რექტორმა, ნათია გოცაძემ მაღლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას. მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ ალტერბრიჯი მზად იყო, რომ საჯარო მოხელეების გადამზადებაში მიეღო მონაწილეობა. მან განაცხადა, რომ დაწესებულება იაზრებდა კარგად რას ნიშნავდა საკანონმდებლო ჩარჩო და ექსპერტების პოზიცია ძალიან მისაღები იყო მათთვის. მან

დამატებით აღნიშნა, რომ ალტერბრიჯი იყო ინსტიტუცია დიდი გამოცდილებით და მათ გააჩნდათ იმის რესურსი, რომ წარმატებით განხორციელებინათ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამები.

საბჭოს მდივანმა, იზა კასრადემ გამოთქვა მოსაზრება, რომ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების ფარგლებში ტექნიკური მხარის დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც შინაარსობრივი მხარის. მან განაცხადა, რომ ტრენერების ჩართულობის საკითზე საინტერესო მსჯელობა იყო წარმოდგენილი მხარეების მიერ და მისი მოსაზრებით საბჭო შეჯერდა პოზიციაზე, რომ კონსულტაციები ტრენერებთან სილაბუსის ნაწილში იყო მაგრამ ეს არ ნიშნავდა, იმას რომ ტრენერები უშუალოდ ჩართულები იყვნენ სილაბუსების შემუშავების პროცესში, რაც ექსპერტთა აზრით არსებითი და მნიშვნელოვანი იყო. მან განაცხადა, რომ პროგრამების შესახებ ინფორმაციის სააჯაროდ განთავსებასთან დაკავშირებით, მას ვერ ჩამოუყალიბდა ნათელი პოზიცია. მისი თქმით დაწესებულებას ჰქონდა ორი ვებგვერდი, ძველი და ახალი ვერსია და მისი მოსაზრებით ვებგვერდის ძველ ვერსიაზე იყო ინფორმაცია განთავსებული და ახალ ვერსიაზე ვერ მოხერხდა ინფორმაციის განთავსება.

დაწესებულების რექტორმა, ნათია გოცამემ განაცხადა, რომ ვებგვერდის ახალ ვერსიაზე პროგრამების შესახებ ინფორმაცია დროულად არ იყო განთავსებული, იქედან გამომდინარე, რომ ცვლილებები, რომლებიც პროგრამებში უნდა განხორციელებულიყო არ იყო დასრულებული.

საბჭოს მდივანმა, იზა კასრადემ აღნიშნა, რომ პროგრამის შინაარსობრივი მხარე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი მოსაზრებით მთავარია, რომ პროგრამებმა უზრუნველყოს დადგენილებით განსაზღვრული კომპეტენციების შეძენა. მისი განცხადებით, კომპეტენციების შეძენის საზომი არის პროგრამა და სილაბუსი. შესაძლებელი იყო სილაბუსების მორგება დამკვეთის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ სილაბუსი აუცილებლად უნდა იყოს დეტალიზებული. იზა კასრადემ კომენტარი გააკეთა ადმინისტრაციული წარმოების სილაბუსთან მიმართებით და განაცხადა, რომ ადმინისტრაციული წარმოების სილაბუსში მითითებული იყო რიდერები, სახემლმძვანელოები მაგრამ ძველი გამოცემები. იზა კასრადემ განაცხადა, რომ მისთვის ორი საკითხი იყო, რომელთან მიმართებითაც ორივე მხარის მხრიდან ითხოვდა პოზიციების დაფიქსირებას უფრო დეტალურად, ეს იყო პროგრამის განხორციელების გეგმისა და სილაბუსების თანხვედრის პრობლემა და სილაბუსი არ იყო საკმარისად დეტალიზებული იმისათვის, რომ კონკრეტული შედეგებზე გადიოდეს. იზა კასრადემ დააფიქსირა თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ მისთვის სილაბუსები არ იყო სრულყოფილი და დეტალიზებული.

ექსპერტმა, ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ მთავრობის დადგენილებით კონკრეტულად იყო განსაზღვრული პროგრამის საათების რაოდენობა. დაწესებულების მიერ შემუშავებული სასწავლო მასალა შეესაბამებოდა სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის საჭირო თემატიკას. მისი მოსაზრებით, თითოეულ სასწავლო კურსში მითითებული სასწავლო მასალის ათვისების შესაძლებლობა შესაბამისი საგნისათვის განსაზღვრულ დროში დამლევადი ვერ იქნებოდა. მან განაცხადა, რომ მსენებლისათვის რიდერების შემუშავება, ხელს შეუწყობდა მათი მხრიდან განსაზღვრულ დროში მასალის დამლევას. ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ მასალები გარკვეული მოდულების შემთხვევაში უკვე მომზადებული იყო სხვადასხვა პროექტების ფარგლებში. ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, ტრენერებთან ინტერვიუებისას ერთ-ერთმა ტრენერმა ძალიან მკაფიოდ და ნათლად ჩამოუყალიბა ექსპერტთა ჯგუფს ჰენდაუთების შინაარსი, რომელსაც გაუზიარებდა მსმენელებს. ლიკა

გიორგაძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ რეკომენდაცია სასწავლო მასალასთან დაკავშირებით არ იყო ყველა ტრენერის მიმართ შემუშავებული, თუმცა შეფასების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი ვალდებული იყო დასკვნაში აესახათ აღნიშნული გარემოება.

ლიკა გიორგაძემ განმარტება გააკეთა სილაბუსებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა შემუშავებული იყო აკრედიტაციის მიზნებისთვის. აკრედიტაციის დებულებით, სტანდარტები არ ეხებოდა უშუალოდ პროგრამის შემუშავებასა და განვითარების პროცესს ისე დეტალურად, როგორც უსდ-ს პროგრამების აკრედიტაციის შემთხვევაში იყო, თუმცა დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული შიდა რეგულაციები, რომლებიც პროგრამების განვითარების და შემუშავების მიზნით იყო დადგენილი, რომლის შესრულება სავალდებულო იყო. მან განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვიზიტამდე განხორციელდა ცვლილებები და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მათ დარჩათ შთაბეჭდილება, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელმა სილაბუსებში ჩაამატა ის კონკრეტული ამონარიდები დადგენილებიდან რაც დოკუმენტაციის ცვლილებებამდე არ იყო გათვალისწინებული და ამ პროცესში ტრენერების ჩართულობა არ ჩანდა. მან განაცხადა, რომ სილაბუსის ნიმუში არ იყო დადგენილი, თუმცა მისი მოსაზრებით აუცილებელი იყო, რომ სილაბუსში ჩანდეს რა აქტივობებით დაკავდება მსემენლი ტრენინგის განხორციელების პროცესში და ასევე მთავრობის დადგენილების მიერ განსაზღვრული თემატიკა უნდა იყოს საათებზე გადანაწილებული.

ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელების გეგმაში სასწავლო თემატიკის 8 და 6 საათის განაწილება მოიცავდა პრე ტესტს - 15 წუთი, ლექცია/თეორიული სწავლებას - 20 წუთი, პრაქტიკულ სწავლებას (სწავლა კეთებით) - 45 წუთი, ლექციის შეჯამებას 10 წუთი, პოსტ ტესტი - 15 წუთი, რაც განსაზღვრული 8 ან 6 საათის შესაბამისი არ იყო. თუმცა სილაბუსებში მითითებული საათების რაოდენობა შესაბამისი იყო საგნისათვის განსაზღვრულ 8 ან 6 საათთან. მან დამატებით განაცხადა, რომ საჯარო მოხელის პროფესიული პროგრამა ითვალისწინებდა მსმენელის შეფასებას პრე და პოსტ ტესტის საშუალებით, რის შესახებაც მითითებული იყო პროგრამაში და თითოეულ მოდულში. მისი განცხადებით ზოგიერთი ტრენერის შემთხვევაში, ტრენერს არ ჰქონდა ინფორმაცია პრე და პოსტ ტესტებისთვის დათმობილი დრო შედიოდა თუ არა კონკრეტული საგნისათვის განსაზღვრულ დროში. მან აღნიშნა, რომ პროგრამაში მითითებული პრე და პოსტ ტესტებით ხორციელდებოდა მსმენელის ცოდნის შეფასება. პროგრამაში მითითებული იყო ისეთი კომპეტენციების გამომუშავება, რომლის შეფასება მხოლოდ ტესტის საშუალებით ვერ განხორციელდებოდა. მან განმარტა, რომ ეს საკითხი დააუდასტურეს ინტერვიუზე ტრენერებმა, სადაც აღნიშნავდნენ, რომ უნარების შეფასება ხორციელდებოდა ტრენინგის მიმდინარეობისას, რომელიც შეფასებადი კომპონენტი არ იყო დოკუმენტურად, შესაბამისად შეფასების ფორმით ვერ ხერხდება იმის განსაზღვრა, ხდება თუ არა კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევა. ლიკა გიორგაძემ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ვიზიტის შემდგომ შემუშავებული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო, გადახედეს თუმცა, იმ დოკუმენტაციის შეფასების უფლება რამდენად სწორად იყო გათვალისწინებული რეკომენდაციები ექსპერტთა კომპეტენციის ფარგლებს ცდებოდა.

დაწესებულების რექტორმა, ნათია გოცაძემ გამოთქვა მოსაზრების დამატების სურვილი, მან განაცხადა, რომ ცვლილებების განხორციელებისას დაწესებულება თემატიკებს არ შეხებია, მითუმეტეს ტრენერებთან შეუთანხმებლად. მან განაცხადა, რომ ცვლილებების განხორციელებისას ჩაამატეს კომპეტენციები. ნათია გოცაძემ განაცხადა რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო რამდენად სწორად შეაფასებდნენ დაწესებულების მოქნილობას პროგრამასთან მიმართებით. მან განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ პროგრამა

დამტკიცებული იყო და წარმოადგენდა კანონქვემდებარე აქტის დანართს, რომელიც იყო გაწერილი შესაბამისი საათებით, თემატიკით, კომპეტენციებით, შემდგომ ამის საფუძველზე მიუსადა დაწესებულებამ სილაბუსები, რომელიც ასევე დადგენილებით იყო განსაზღვრული. ნათია გოცამე დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ თითოეული სასწავლო კურსი ჯამურად უნდა გავიდეს დადგენილებით განსაზღვრულ კომპეტენციებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, კობა ყალიჩავამ ორივე მხარის მოსმენის შედეგად განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში იყო როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც შემდგომ დაწესებულების მიერ გამოსწორებულ იქნა, თუმცა გამოსწორებული დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტთა კომპეტენციას აღარ წარმოადგენდა და მიმართა საბჭოს წევრებს, რომ მიეღოთ ერთობლივად ურთიერთშეჯერებით გარკვეული გადაწყვეტილებები.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ დაწესებულების ორივე პროგრამის შინაარსის სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იყო, როგორც „არ არის შესაბამისობაში“. შესაბამისად საბჭოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, გაეზიარებინა ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ან უნდა შეეცვალა, რაც საბჭოს წევრების კომპეტენციას წარმოადგენდა. მან დამატებით განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასების შეცვლის შემთხვევაში საბჭოს უნდა განესაზღვრა დაწესებულებისთვის კონკრეტულ ვადა, არაუმეტეს 6 თვისა, მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ხათუნა ლორიამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, თუ რა ვადა იქნებოდა საკმარისი მიღებული რეკომენდაციების შესრულებისათვის.

რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები დაწესებულების მხრიდან შესრულებული იყო შესაბამისად, დაწესებულება გამოხატავდა მზაობას ნებისმიერ დროს წარმოედგინა ცენტრში შესაბამისი ანგარიში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესასრულებლად, კერძოდ სილაბუსების დეტალიზებასთან მიმართებით გარკვეული დრო იქნებოდა საჭირო. ლიკა გიორგაძის მოსაზრებით, მიღებული რეკომენდაციების შესასრულებლად 2 თვიანი ვადის განსაზღვრა დაწესებულების მხრიდან ინტენსიური მუშაობის შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის “მოხელის მენეჯერული უნარები“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „მოხელის მენეჯერული უნარები“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე პირებს განუმარტა საბჭოს წევრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება. საბჭოს წევრები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს და ზეპირ მოსმენაზე მხარეების მიერ წარმოდგენილ პოზიციებს. აღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე საბჭო არ იზიარებდა ორივე პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციას პროგრამის შინაარსის სტანდარტის 1.3 კომპონენტთან მიმართებით.

აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ორივე პროგრამასთან მიმართებით იცვლებოდა პროგრამის შინაარსის სტანდარტის შეფასება და ნაცვლად „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, პროგრამები აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო იზიარებდა ორივე პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ სხვა რეკომენდაციებს. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, დაწესებულებას განესაზღვრა 2 თვე (17.02.2021) ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამების განხორციელების პროცესში წარმატება უსურვა დაწესებულების წარმომადგენლებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:41 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლორია ხათუნა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კასრაძე იზა

